კავშირი თვითშეფასებას, ნარცისიზმსა და აკადემიურ მოსწრებას შორის სკოლის მოსწავლეებში

ანა დარახველიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმჭიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თვითშეფასების, ნარცისიზმისა და აკადემიური მოსწრების ურთიერთმიმართება საჯარო სკოლის მოსწავლეებში. საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა როზენბერგის თვითშეფასებისა და ნარცისიზმის (ბნელი ტრიადის) კითხვარი, ხოლო აკადემიური მოსწრების გასაზომად საგნობრივი ქულების საშუალო მაჩვენებელი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 59-მა ცდისპირმა, აქედან 23 ბიჭი იყო, ხოლო 36 გოგონა. მათი ასაკი იყო 11 დან 15 წლის ჩათვლით. სტატისტიკური მონაცემების შედეგად დადგინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია თვითშეფასებასა და ნარცისიზმს, ასევე თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევას შორის. სქესის მიხედვით, მონაცემთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ დაფიქსირდა. ასაკსა და თვითშეფასებას შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად უმნიშვნელო დადებითი კორელაცია, ხოლო ასაკსა და ნარცისიზმს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად უმნიშვნელო უარყოფითი კორელაცია.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება, ნარცისიზმი, აკადემიური მოსწრება, ბნელი ტრიადის კითხვარი, როზენბერგის კითხვარი.